მეოთხედფინალში გავიდნენ
“ტავრია” (სიმფერეპოლი) – “დინამო” (თბილის) 0:4 (0:1)

16 მარტს სიმფეროპოლში, “ლოკომოტივის” სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ “ტავრიასა” და თბილისის “დინამოს” შორის.

თბილისელებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ სერიოზული განაცხადი აქვთ მომავალ წარმატებებზე. მათ უკვე მატჩის დასაწყისში ჩაიგდეს ხელთ ინიციატივა, რამდენიმე სწრაფი იერიში განახორციელეს და ერთ–ერთი მათგანის დროს “ტავრიის” მცველის მიერ გუცაევის წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისთვის მიიღეს 11–მეტრიანი დარტყმის უფლება. იგი ზუსტად გამოიყენა ჩელებაძემ – 1:0.

დაძაბული ბრძოლა არ დამცხრალა ტაიმის ბოლომდე. დინამოელებს კიდევ მიეცათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, საპასუხო შესაძლებლობანი ჰქონდათ სიმფეროპოლელებსაც.

შესვენების შემდეგ მასპინძლები, რა თქმა უნდა, შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მათს ეპიზოდურ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. 56–ე წუთზე კი “ტავრიას” კარში მეორე ბურთი გავიდა: გუცაევის გარღვევის შემდეგ გადამწყვეტი დარტყმა კარგად შეასრულა კოპალეიშვილმა – 2:0.

მატჩის ბედი არსებითად გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან დინამოელთა დაცვის ხაზებს მასპინძლები იშვიათად თუ აღწევდნენ თავს.

განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა თბილისელთა შეტევები მატჩის დასასრულს, ბოლო 5 წუთის მანძილზე. ჯერ ქორიძე გავიდა პირისპირ მეკარესთან და სამამდე გაზარდა ანგარიში, მერე კი გუცაევმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრის ანგარიშს – 4:0.

თბილისის “დინამომ” მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, მინაშვილი, ჩელებაძე (ქორიძე). მსაჯობდა მოსკოველი ვ. ბასკაკოვი.

სტუმრად ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვება ლიგის ერთ–ერთ საუკეთესო გუნდთან, ვიმეორებთ, ნათლად მეტყველებს თბილისელ ფეხბურთელთა მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე. მათ მოიპოვეს თასის მეოთხედფინალში თამაშის უფლება, რომელიც 30 მარტს შედგება.

აღსანიშნავია, რომ მერვედფინალის მონაწილეთაგან გამარჯვებები უმეტესობამ მოიპოვა შინ, მასპინძლების როლში. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეოთხედფინალების წილისყრის შემდეგ თბილისის “დინამო” მასპინძლის როლში მოგვევლინება.

“ლელო”, 18 მარტი, 1980 წ.